პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცვლილება იქნეს შეტანილი ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში და თანდართული (გრაფიკული) სახით დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი), თანახმად დანართისა.

2. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით მისი ძალაში შესვლის შემდეგ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიცი- პალი-ტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge).

მუხლი 2.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

2020 წლის 30 აპრილს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა N25 განკარგულება ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ''. კონკრეტული ზონირების რუკაში მოხდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ს ტერიტორიაზე მიეთითა შზ - 3, ხოლო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ს ტერიტორიაზე შზ-2. ცვლილებით განხორციელდება ხარვეზის გამოსწორება და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ს ტერიტორიას მიენიჭება - ცენტრის ზონა - შზ-2 ს სტატუსი, ხოლო საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ს - საქმიანი ზონა შზ-3 სტატუსი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:
,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება;
ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.
ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე- არ გამოიწვევს.

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის ინიციატორი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი